

სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი ა. ჩაიკოვსკაია.



სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 237 (3721)

1968 წ. 4 დეკემბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.


## ოქროსა და ვერცხლის ბრწყინვალება


(მატჩისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-2 გვ.).


● **სანქტ-მორიცი**, 2 დეკემბერი. ევროპის საუკეთესო სამთომოთხილამურეთა დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებაში „თეთრი ლენტის" პრიზზე. ამ ტურნირით გაიხსნა ზამთრის სეზონი. ქალთა სლალომში ყველას აჯობა გფრ-ის წარმომადგენელმა ბ. ფაერბინგერმა — 1.27,52, ხოლო ვაჟთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა პ. ფრეიმ — 1.21,54. გიგანტური სლალომის ტრასა (1200 მ, 50 კარი) ყველაზე სწრაფად დაფარა დ. ჯოვანიოლიმ (შვეიცარია) — 1.06,53. ქალთა გიგანტური სლალომის სიგრძე ერთი კილომეტრი იყო (42 კარით). აქაც ყველას შვეიცარიელმა აჯობა — ფ. ბოშატეიმ — 1.10,81.

● **ლონდონი, 2 დეკემბერი.** ანგარიშით 3:2 მოუგეს პოლონელმა ძალოსნებმა ტრადიციული მატჩი დიდი ბრიტანეთის გუნდს. ყველაზე საინტერესო გამოდგა ქვემძიმეწონოსანთა შეჯიბრება, რომელშიც გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ინგლისელმა ლ. მარტინმა — 486,5 კგ (გირვანქის წონის ერთეულებიდან გადაანგარიშებით). მან 2,5 კილოგრამით აჯობა პოლონელ მ. გოლომბს.

● *ბელგრადი, 2 დეკემბერი. გაზეთ „პოლიტიკას" ტრადიციულმა ანკეტამ იუგოსლავიის 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა* XIX *ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჯურჯიცა ბიედოვა.* II *ადგილზეც ოლიმპიური ჩემპიონია — ტანმოვარჯიშე მ. ცერარი,* III *— მეხიკოს კიდევ ერთი გმირი, მოჭიდავე ს. ხორვატი. საუკეთესო კოლექტივად აღიარებულია მექსიკიდან გამარჯვებით დაბრუნებული იუგოსლაველი წყალბურთელების გუნდი.*

● **ნიუ-იორკი**, 2 დეკემბერი. **მექსიკის ოლიმპიადის ოქროს 3 მედლის მფლობელი, 16 წლის მოსწავლე დები მაიერი ამერიკის შეერთებული შტატების სამოყვარულო ათლეტური კავშირის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს 1968 წელს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ესოდენ დიდი პატივი ქალმა მოიხვეჭა.**

● **კიშინიოვი**, 2 დეკემბერი. „მოლდოვას" სპორტულ დარბაზში გაიმართა პროფკავშირთა პირად-გუნდური საკავშირო პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა და სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ნ. ოვჩინიკოვამ (კიევი) — 58,2 ქულა. მან შეჯიბრება შესანიშნავად ჩაატარა და ორჯერ დაიმსახურა უმაღლესი შეფასება — 10 ქულა. მას ქულანახევრით ჩამორჩა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, 17 წლის ე. კარპუხინა (მოსკოვი). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა".

● **მეხიკო, 2 დეკემბერი.** მექსიკის მრავალდღიანი ველორბოლის VII ეტაპის შემდეგ ლიდერობას განაგრძობს ვ. სოკოლოვი — ქალაქ აგუასკალიენტესის 60-კილომეტრიან რგოლურ ტრასაზე მან 5 წუთამდე გაზარდა განსხვავება II ადგილზე მყოფ მექსიკელ რ. ტრევინოს შორის.

● **სან-სალვადორი**, 3 დეკემბერი. **სალვადორის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აქ დაამარცხა სურინამის ფეხბურთელები — 6:0. გოლების ავტორები არიან: ესტრადა, აზუკარი (2-2), ბარაზა და მარტინეზი. ეს იყო XIII ჯგუფის (ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა) მატჩი.**

● **კოლაროვგრადი, 3 დეკემბერი.** ბულგარეთის ამ ქალაქში თავიანთი ტურნეს პირველი ამხანაგური მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა ადგილობრივ „ვოლოვთან" გამართეს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1.

● **მალიორკა**, 3 დეკემბერი. **აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VIII ტურში დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ მოუგო ესპანელ დ. კორალს. კორჩნოიმ კიდევ 1 ქულა ჩაიწერა: მას დანებდა VII ტურიდან გადადებულ პარტიაში იუგოსლაველი ა. მატანოვიჩი. კორჩნოის ახლა 7 ქულა აქვს და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია. ამ ტურში საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა დანიელი დიდოსტატის ბ. ლარსენის შეხვედრა ბ. სპასკისთან. ლარსენს 6,5 ქულა აქვს და II ადგილზეა. მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა მოუგო ესპანელ ფ. ვიზიეს, ხოლო მეორე ქულა ჩაიწერა იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩთან გადადებულ პარტიაში. მსოფლიოს ჩემპიონს 6,5 ქულა აქვს.**

## უკანასკნელ საათს...

◆ **მეხიკო, 3 დეკემბერი.** მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს მექსიკის მრავალდღიანი ველორბოლა. 8 ეტაპის შემდეგ ლიდერის ყვითელ მაისურს ინარჩუნებს ომსკელი ველოსიპედისტი ვ. სოკოლოვი, რომელიც კვლავინდებურად 5 წუთით სჯობს თავის უახლოეს მეტოქეს — მექსიკელ ტრევინოს. სსრ კავშირის გუნდი III ადგილზეა: მას უსწრებენ მექსიკური კლუბების „იტოლასა" და „პეპსის" ნაკრები კოლექტივები.

◆ ბუდაპეშტი, 3 დეკემბერი. „დინამოს" კლუბების ფრენბურთელთა აქ დაწყებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ბუქარესტისა და ბერლინის „დინამოს", ბუდაპეშტის „დოჟის", პოლონეთის „გვარდიისა" და სოფიას „სპარტაკის" ქალთა და ვაჟთა გუნდები, აგრეთვე, პრაღის „რუდა გვეზდას" ვაჟთა კოლექტივი. მოსკოველმა ვაჟებმა პირველ მატჩში სძლიეს „დოჟას" — 3:1 (15:8, 15:8, 10:15, 15:12), ხოლო ქალებმა მარცხი იწვნიეს თავიანთ ბერლინელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში — 2:3 (14:16, 15:12, 11:15, 16:14, 14:16).

◆ **ენგერდალი**, 3 დეკემბერი. **უძლიერესი ნორვეგიელი მოთხილამურეების აქ გამართული 8-კილომეტრიანი რბოლა მოიგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გ. ეგენმა. მზიან ამინდში, როცა 14-გრადუსიანი ყინვა იდგა, მან კარგი დრო აჩვენა — 22.08. ჩემპიონთან მხოლოდ 4 წამით წააგო მისმა ძმამ იომ.**

**III ადგილზეა ე. სტეინეიდე — 22.23. რბოლის სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს წარმატება იუნიორ ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონ ტ. სვენდსბერგეტისა, რომელმაც V ადგილი (23.13) დაიკავა და აჯობა რ. ბეკემელომსა (23.21) და ოლიმპიურ ჩემპიონს გ. გრონინგენს (23.34), რომლებმაც VI და VII ადგილები დაიკავეს.**

◆ *ვარშავა, 3 დეკემბერი. პოლონურმა სპორტულმა გაზეთმა „პშეგლონდ სპორტოვიმ" თავის მკითხველებს შესთავაზა დაასახელონ ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენი წლევანდელი სეზონის მიხედვით. „კონქურსის" შედეგები 1969 წლის 11 იანვარს გამოცხადდება, მაგრამ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამხტომში ი. შმიდტს შეუძლია „არ იღელვოს" — პლებისციტის შედეგების მიუხედავად, შმიდტი წლევანდელი წლის უკვე ერთ-ერთი გმირია: მკითხველთა წინადადებით „პშეგლონდ სპორტოვის" რედაქციამ იგი „1968 წლის საპატიო სპორტსმენად" გამოაცხადა მძლეოსნობაში მრავალწლიანი დამსახურებისთვის.*

◆ **პრაღა**, 3 დეკემბერი. **ჩეხოსლოვაკიის საფეხბურთო პირველობის უმაღლესი ლიგის მონაწილე ადგილობრივი „დუკლას" მეკარე ი. ვიქტორი ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელადაა მიჩნეული წლეულს. ასეთი შედეგი მოგვცა ყოველკვირეული „სტადიონის" ანკეტამ, რომელშიც ფეხბურთის 40 ექსპერტი და 9638 მკითხველი მონაწილეობდა. ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ფეხბურთელად შარშანაც „დუკლას" წარმომადგენელი იყო — ი. გელეტა.**

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

### ისევ ოლიმპიადის გარშემო

**მოსკოვი**, 3 დეკემბერი. (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). **მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტული დელეგაციის გამოსვლის შედეგებსა და სსრ კავშირის სპორტული მოძრაობის წინაშე მდგარ პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა დღეს, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.**

**მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახულია ჭეშმარიტად მასობრივი სპორტის განვითარებისთვის. პავლოვმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის შექმნა მიზნად ისახავს საბჭოთა სპორტში საზოგადოებრივი საწყისების შემდგომ განვითარებას და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ცალკეული სახეობების ფედერაციათა უაღრესად მნიშვნელოვან როლს.**

**შემდეგ გაიმართა მოკლე ოლიმპიური თათბირი. ცენტრალური და რესპუბლიკური პრესის წარმომადგენლებმა განიხილეს მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მასალები, რომლებიც საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იყო გამოქვეყნებული.**

**როგორც პრეს-კონფერენციამ, ისე თათბირმა დიდი ინტერესი გამოიწვია.**

**ჯ. ენუქიძე.**

### გრაციათა თავყრილობა

**კიშინიოვი**, 3 დეკემბერი. **კიეველმა ნ. ოვჩინიკოვამ, რომელმაც პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა მრავალჭიდში, უძლიერესის წოდება მოიხვეჭა უსაგნოდ ნებისმიერ ვარჯიშშიც. ვერცხლის მედალი წილად ხვდა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, მოსკოველ ე. კარპუხინას, რომელმაც შემდგომ ოქრო მოიხვეჭა საგნით ნებისმიერ ვარჯიშში. ოვჩინიკოვა ამ სახეობაში მესამე იყო (II ადგილი დაიკავა გორკელმა ნ. ხერგეევამ).**

**უსაგნოდ ნებისმიერ ვარჯიშში ისევე, როგორც მრავალჭიდში, III ადგილი დაისაკუთრა 15 წლის ომსკელმა მოსწავლემ, სპორტის ოსტატმა გ. შუგუროვამ. მან დაიმსახურა „მოლდოვას" სპეციალური პრიზი, როგორც საუკეთესომ ყველაზე ნორჩ მონაწილეთა შორის.**

**ყველაზე ელეგანტურად და გრაციოზულად 120 მხატვრულ ტანმოვარჯიშეს შორის აღიარებულია ასტრახანელი სპორტის ოსტატი ო. ზასუხინა.**

**შეჯიბრების დასკვნითი სახეობა იყო ბურთით გუნდური ნებისმიერი ვარჯიში, სადაც ყველას აჯობეს „ზენიტის" წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავა „ტრუდმა", III — „კალევმა".**

## ჩეხოსლოვაკიის სპორტული ხელმძღვანელები მოსკოვში

მოსკოვი, 3 დეკემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირის დელეგაცია, რომელსაც კავშირის თავმჯდომარე ე. ბოსაკი მეთაურობს.

2 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საუბარი. განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე, საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ცალკეული აქტუალური პრობლემები.

მოლაპარაკებამ გულწრფელ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.



ცაიტნოტი დამთავრდა. ა. ჩაიკოვსკაია (მარცხნივ) და მატჩის მთავარი არბიტრი ო. იგნატიევა (მოსკოვი) აღადგენენ პარტიის მსვლელობას. ნ. ალექსანდრია დასცქერის ჭადრაკის დაფას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## სხვა შეხვედრები

**მოსკოვში** ადგილობრივმა არმიელებმა განმეორებითი მატჩიც მოუგეს თბილისის „ბურევესტნიკს“, მაგრამ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს სასურველი ქულის აღება ამჯერადაც გაუჭირდა — 67:61. „ბურევესტნიკმა“ დაიმსახურა სპეციალისტთა და მაყურებელთა საერთო სიმპათია.

**ლენინგრადში** დამარცხდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — კიევის „სტროიტელი“. „სპარტაკმა“ დამაჯერებელი რევანში აიღო — 72:63.

**რიგაში** თამაშობდნენ ადგილობრივი ვეფ-ი და ჩემპიონატის დებიუტანტი, მოსკოვის „დინამო“. გაიმარჯვეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 73:67.

**კაუნასში** დამარცხდა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დებიუტანტი — ალმა-ათის „ლოკომოტივი“. მატჩის შედეგია 89:76 „ჟალგირისის“ სასარგებლოდ.

**კიევის** ასკ-მ ზედიზედ ორი მატჩი მოუგო რიგის არმიელებს. პირველი შეხვედრის შედეგია 82:72, მეორისა — 89:78.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 2 | 2 | 0 | 156—143 | 2 |
| ასკ (კიევი) | 2 | 2 | 0 | 177—150 | 2 |
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 135—120 | 2 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 2 | 2 | 0 | 171—148 | 2 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 2 | 1 | 1 | 130—128 | 1 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 2 | 1 | 1 | 128—130 | 1 |
| ვეფ (რიგა) | 2 | 1 | 1 | 130—128 | 1 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 128—130 | 1 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 2 | 0 | 2 | 143—156 | 0 |
| ასკ (რიგა) | 2 | 0 | 2 | 150—177 | 0 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 2 | 0 | 2 | 120—135 | 0 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 2 | 0 | 2 | 148—171 | 0 |

## ვეტერანი თამაშის დროს და „თამაშგარე“

თბილისი. სპორტის სასახლე. 2 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ) 85:78 (35:34).

„დინამო“: მოსეშვილი (30), საკანდელიძე (19), ქორქია (9), ქარაბაკი (9), ლეჟავა (8), სხიერელი (6), ნარიმანიძე (2), მაღალაშვილი (2), უგრეხელიძე, ჩიხლაძე.

„კალევი“: ტამისტე (14), ლილი (13), ილვესი (9), ტომსონი (9), მეტიგი (8), კრიკუნი (6), მეტსარი (6), ლენციოსი (4), პარბო (4), ლეია, ფილატოვი.

მსაჯები: ო. კამიშოვი, ა. ჟოლენძი (ორივე — მოსკოვი).

როგორც ჩანს, თბილისის დინამოელები საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩის შედეგით კმაყოფილი არ იყვნენ. ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა „დინამოს“ მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. ინწკირველთან საუბრის შემდეგ.

— ნუ იმსჯელებთ გუნდზე დღევანდელი შედეგით, — თქვა მან. — განმეორებით მატჩში დავამტკიცებთ, რომ უკეთაც ვიცით თამაში.

და დაამტკიცეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრი ასეთია: „დინამომ“ მეორე მატჩი უფრო საიმედოდ და დამაჯერებლად ჩაატარა. ხარვეზები, რა თქმა უნდა, იყო, განსაკუთრებით, დაცვაში, მაგრამ ბოლო წლებში, ჯერ ერთი, დაცვა ჩვენი „აქილევსის ქუსლია“ და შემდეგ, სეზონის სტარტზე ასეთი ხარვეზები დასაშვებია.

დინამოელთა მთავარი კოზირი ამ დღეს თავდასხმა იყო, სადაც განსაკუთრებით ნაყოფიერად და გონივრულად მოქმედებდა გუნდის ვეტერანი ლევან მოსეშვილი. ესტონელები თავიანთ წარუმატებლობას სწორედ მას უნდა „უმადლოდნენ“, რადგან როლში შესული თბილისელის უვნებელყოფა ვერ მოხერხდა ვერც გაძლიერებული პერსონალური მეურვეობით და ვერც ჭარბი ძალების კონცენტრაციით.

მოსეშვილი ამ დღეს მართლაც შეუდარებელი იყო და მის სოლურ გამოსვლებს ოსტატურად აუბა მხარი საკუთარ გუნდს მონატრებულმა ზურაბ საკანდელიძემ. ამ ერთობ ეფექტური დუეტის შედეგიანობამ და დიდმა მანევრულობამ საბოლოოდ გასტეხა ბრძოლისუნარიანობა „კალევისა“, რომელსაც განმეორებით მატჩში აკლდა ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ლეპმეტსი.

ნ. გუგუშვილი.

* * *

ლევან მოსეშვილი თბილისის დინამოელთა სული და გული იყო ესტონელებთან განმეორებით მატჩში. მან თითქმის მთელი 40 წუთი გაატარა მოედანზე, ბრძოლაში. მაგრამ „თამაშგარე“ მდგომარეობაშიც კი, ე. ი. როცა მწვრთნელი დაღლილ სპორტსმენს რამდენიმე წუთით ასვენებდა, იგი აქტიურად „მონაწილეობდა“ თამაშში (იხ. სურათები).

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## ოქროსა და ვერცხლის ბრწყინვალება

ნანა ალექსანდრია კვლავ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ეს დიდი და საამაყო გამარჯვებაა. ნიჭიერ თბილისელ გოგონას ამჯერად მეტი სიძნელის გადალახვა მოუხდა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში, ვიდრე 1966 წელს, კიევში. აშხაბადში მან თბილისელ კოლეგასთან ა. ჩაიკოვსკაიასთან I-II ადგილები გაიყო. საჭირო შეიქნა მათი დამატებითი შეხვედრა მატჩში.

ალექსანდრია — ჩაიკოვსკაიას ორთაბრძოლამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. პროგნოზებისგან ყველა თავს იკავებდა, ვინაიდან ადრე მეტოქენი ერთმანეთთან ცვალებადი წარმატებით თამაშობდნენ. მოულოდნელი ამბავი მოხდა. ალექსანდრიამ გაანადგურა ძლიერი მეტოქე. ამის ნათელი დადასტურებაა ორთაბრძოლის ანგარიში — 3,5:0,5.

მაინც რა მოხდა? I პარტიაში თამაშის ბედი ცაიტნოტმა გადაწყვიტა, თუმცა მოგების შანსი სხვადასხვა მომენტში ორივე მოჭადრაკეს ჰქონდა. II პარტიაში ალექსანდრიამ შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სტრატეგიული ჩანაფიქრი. ეს პარტია საუკეთესოა მატჩში. წაგებამ დააბნია ჩაიკოვსკაია. III პარტიის მიტელშპილში მან ალღო ვერ აუღო პოზიციურ ბრძოლას და მატერიალური ზარალი განიცადა. IV პარტიაში ალექსანდრიამ მეტოქის მეფეზე იერიში წამოიწყო. კრიტიკულ მომენტში ჩაიკოვსკაიას ნერვებმა უღალატა: მან თვითონ დაასუსტა მეფის პოზიცია და იერიშს ვერ გაუძლო.

ქვემოთ მოგვყავს ოთხივე პარტია.

### I პარტია

ჩაიკოვსკაია — ალექსანდრია

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. e3 მf6 4. კ:c4 e6 5. მf3 c5 6. 0—0 a6 7. ლe2 b5 8. კb3 კb7 9. ეd1 მbd7 10. მc3 კd6 11. dc მ:c5 12. კc2 ლb8 13. e4 b4 14. e5 კ:f3 15. ლ:f3 კ:e5 16. ლc6+ მcd7 17. მe4 ლc8 18. მ:f6+ კ:f6 19. ლ:c8+ ე:c8 20. კa4 ეd8 21. ეb1 მფe7 22. კe3 კe5 23. ეd2 მb8 24. კc5+ მფf6 25. კ:b4 ე:d2 26. კ:d2 ეd8 27. კe3 ეd6 28. მფf1 ეd5 29. მფe2 მd7 30. f4 კc7 31. ეc1 კb6 32. კ:d7 კ:e3 33. კc6 ეc5 34. ე:c5 კ:c5 35. a3 მფe7 36. მფd3 მფd6 37. კe4 კg1 38. h3 კh2 39. f5 მფe5 40. fe მფ:e6 41. b4 g6 42. მფc4 კg1 43. g4. ყაიმი.

### II პარტია

ალექსანდრია — ჩაიკოვსკაია

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. მc3 მc6 4. კb5 მge7 5. 0—0 a6 6. კ:c6 მ:c6 7. d4 cd 8. მ:d4 კe7 9. მ:c6 bc 10. e5 ლ:d1 11. ე:d1 კd7 12. კe3 f6 13. მe4 0—0—0 14. კb6 ეdf8 15. კc5 კ:c5 16. მ:c5 ეf7 17. ეd6 ეe8 18. ეad1 ე8e7 19. f3 მფc7 20. მფf2 fe 21. მფe3 კc8 22. b4 b6 23. მe4 ეd7 24. c4 ე:d6 25. მ:d6 ეf4 26. მe8+ მფb7 27. g3 ეf8 28. ეd8 მფb8 29. მფe4 c5 30. bc bc 31. მფ:e5 g5 32. მფd6 ე:f3 33. მფ:c5 ეf8 34. მფd6 e5 35. მფ:e5 ეf5+ 36. მფd6 ეf2 37. მფc6 ეf7 38. ე:c8+ შავები დანებდნენ.

### III პარტია

ჩაიკოვსკაია — ალექსანდრია

ლაზიერის გამბიტი

1. d4 e6 2. მf3 მf6 3. კg5 h6 4. კh4 d5 5. e3 მbd7 6. c4 კe7 7. მc3 0—0 8. ლc2 dc 9. კ:c4 c5 10. dc მ:c5 11. 0—0 კd7 12. ეfd1 ლe8 13. მe5 კc6 14. b4 მd7 15. მ:c6 bc 16. ლa4 მb6 17. ლb3 მfd5 18. კ:d5 cd 19. კ:e7 ლ:e7 20. a4 ეfc8 21. a5 მc4 22. e4 de 23. მ:e4 ეab8 24. b5 ლb7 25. მc3 ლc7 26. ეd3 მ:a5 27. ლa4 მc4 28. ლ:a7 ლ:a7 29. ე:a7 მe5 30. ეg3 ე:b5 31. f4 ეb3 32. მe4 ეc1+ 33. მფf2 ე1c2+. თეთრები დანებდნენ.

### IV პარტია

ალექსანდრია — ჩაიკოვსკაია

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კc4 b5 7. კb3 კb7 8. ლe2 e6 9. f3 კe7 10. კe3 0—0 11. 0—0—0 მbd7 12. g4 მc5 13. h4 b4 14. მb1 d5 15. g5 მd7 16. მd2 de 17. მ:e4 მ:b3 18. მ:b3 ლc7 19. h5 კ:e4 20. fe მe5 21. მფb1 მc4 22. კc1 ეad8 23. ეdg1 g6 24. ეg2 კd6 25. ლg4 მფg7 26. ეf2 კe2 კe5 27. ლh3 ეh8 28. ეhf1 ეhf8 29. ეh1 მფh8 30. hg fg 31. ე:f8+ ე:f8 32. ლ:e6 ლd6 33. ლ:c4. შავები დანებდნენ.

ნანას წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საერთაშორისო ოსტატ ბ. გურგენიძეს, რომელიც ორი წელია ავარჯიშებს მას.

ნ. ალექსანდრიამ საბჭოთა ოლიმპიურ გუნდშიც დაისაკუთრა ადგილი, ახლა იგი ნ. გაფრინდაშვილსა და ა. კუშნირთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადაში (ვარშავა, 1969 წ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, რა თქმა უნდა, ყველა მოჭადრაკისთვის საპატიოა. შარშან ჩაიკოვსკაია უკვე იყო ამ მედლის მფლობელი და, ცხადია, ახლა უფრო დიდი გამარჯვება სწყუროდა. ბრძოლამ თავად გაანაწილა ჯილდოები: ოქრო უძლიერესს შეხვდა.

მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა კიდევ ერთხელ დაანახვეს საჭადრაკო სამყაროს თავიანთი ძალა, ბრძოლისუნარიანობა. გასაკვირი როდია, რომ თანამედროვე ქალთა ჭადრაკის მექა თბილისია — მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონების სატახტო ქალაქი.

თ. ბიორგაძე.

## გუშინ...

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ დაიხურა ალექსანდრია — ჩაიკოვსკაიას მატჩი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ ალექსანდრიას გადასცა ჩემპიონის ოქროს მედალი, ხოლო ჩაიკოვსკაიას — ვერცხლის მედალი. სსრ კავშირის ჩემპიონმა მიიღო თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს საჩუქარი — დიდი ხალიჩა, ხოლო ვიცე-ჩემპიონმა — აშხაბადის ქალაქის საბჭოს საჩუქარი — პატარა ხალიჩა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-68

## სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 40 | 24 | 10 | 6 | 57—20 | 58 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 40 | 19 | 12 | 9 | 53—29 | 50 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 40 | 17 | 16 | 7 | 30—18 | 50 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 40 | 18 | 12 | 10 | 54—28 | 48 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 40 | 19 | 9 | 12 | 52—31 | 47 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 40 | 15 | 15 | 10 | 40—32 | 45 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 40 | 13 | 15 | 12 | 44—39 | 41 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 40 | 14 | 12 | 14 | 45—37 | 40 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 40 | 13 | 14 | 13 | 46—45 | 40 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 40 | 13 | 14 | 13 | 34—40 | 40 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 40 | 15 | 10 | 15 | 34—42 | 40 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 40 | 11 | 17 | 12 | 30—37 | 39 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 40 | 13 | 11 | 16 | 49—50 | 37 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 40 | 11 | 15 | 14 | 34—36 | 37 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 40 | 12 | 12 | 16 | 33—40 | 36 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 40 | 14 | 8 | 18 | 42—57 | 36 |
| „სტროითელი“ (უფა) | 40 | 11 | 12 | 17 | 40—55 | 34 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 40 | 7 | 19 | 14 | 35—48 | 33 |
| „თერგი“ (გროზნო) | 40 | 9 | 13 | 18 | 45—54 | 31 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 40 | 9 | 11 | 20 | 28—56 | 29 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 40 | 7 | 15 | 18 | 30—61 | 29 |

## საქართველოს ჩემპიონატი

დასასრულს უახლოვდება რესპუბლიკის ჩემპიონატი.

ამ დღეებში გაიმართა შემდეგი შეხვედრები: „მესხეთი“ (ახალციხე) — „ისანი“ (თბილისი) 3:0, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0, „სამცხე“ (აწყური) — „ისანი“ (თბილისი) 4:2, „კოლხეთი“ (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1 „გარეჯი“ (საგარეჯო) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1, „სინათლე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2.

გათამაშების დასასრულს აკლია სულ 2 მატჩი. თბილისის „სინათლემ“ უნდა უმასპინძლოს ბორჯომის „სპარტაკს“ და სტუმრად ითამაშოს ახალციხის „მესხეთთან“.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 4 დეკემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 42 | 24 | 12 | 6 | 70—29 | 60 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 42 | 23 | 12 | 7 | 74—41 | 58 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 42 | 22 | 13 | 7 | 74—35 | 57 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 42 | 18 | 18 | 6 | 53—28 | 54 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 40 | 21 | 9 | 10 | 57—34 | 51 |
| „სულორი“ (ვანი) | 42 | 20 | 8 | 14 | 54—38 | 48 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 42 | 18 | 12 | 12 | 64—57 | 48 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 41 | 16 | 12 | 13 | 56—47 | 44 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 42 | 15 | 12 | 15 | 47—50 | 42 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 42 | 13 | 15 | 14 | 56—43 | 41 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 42 | 15 | 11 | 16 | 38—51 | 41 |
| „აერო“ (გალი) | 42 | 12 | 15 | 15 | 41—47 | 39 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 42 | 15 | 9 | 18 | 52—64 | 39 |
| „ლაითური“ (მახარაძის რ-ნი) | 42 | 13 | 12 | 17 | 35—36 | 38 |
| „სამცხე“ (აწყური) | 42 | 13 | 11 | 18 | 49—58 | 37 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 42 | 14 | 8 | 20 | 41—54 | 36 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 41 | 11 | 13 | 17 | 34—45 | 35 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 42 | 11 | 13 | 18 | 37—56 | 35 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 42 | 12 | 10 | 20 | 43—60 | 34 |
| „ისანი“ (თბილისი) | 42 | 11 | 10 | 21 | 31—53 | 32 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 42 | 8 | 10 | 24 | 35—74 | 26 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 42 | 9 | 7 | 26 | 28—62 | 25 |

ვ. სტოიანოვი

# ფეხბურთი კულისებს მიღმა

## საჩუქარი

ცნობილია, რომ სამამულო ფეხბურთის განვითარებისთვის, კერძოდ, მოსკოვის „ტორპედოსთვის“ ბევრი კარგი გააკეთა მოსკოვის ავტოქარხნის აწ განსვენებულმა დირექტორმა ივანე ალექსის ძე ლიხაჩოვმა. ეს იყო სპორტსმენთა ჭეშმარიტი მეგობარი.

ერთხელ ტორპედოელები თათბირობდნენ, თუ რა საჩუქარი მიეძღვნათ ლიხაჩოვისთვის მისი 50 წლისთავის აღსანიშნავად. იდავეს, ითათბირეს, მაგრამ ორიგინალურს ვერაფერს მიაგნეს. და აი, აქ სიტყვა აიღო გუნდის კაპიტანმა ნიკოლოზ მოროზოვმა.

— მე ასე ვფიქრობ: ვერავითარი სუვენირებით ვერ გავაკვირვებთ ივანე ალექსის ძეს. მას ყველაზე უფრო გაეხარდება ჩვენი გამარჯვება ცდკა-სთან შეხვედრაში. წინადადება შემომაქვს ვაჩუქოთ ჩვენს დირექტორს ეს 2 ქულა.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმ წლებში არმიელთა დამარცხება ფრიად ძნელ საქმეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, კაპიტნის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

დადგა მატჩის დღე. ტორპედოელები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ არმიელთა ერთ-ერთ კონტრშეტევისას მარცხენა გარემარბმა ვლადიმერ დიომინმა გაიტანა გოლი.

შესვენების დროს ავტოქარხნელ ფეხბურთელთა გასახდელში სიჩუმე სუფევდა. ხმას არ იღებდა მწვრთნელიც. მხოლოდ მაშინ, როცა ფეხბურთელები მინდორზე გასასვლელად ემზადებოდნენ, ალექსანდრე პონომარიოვმა ვერ მოითმინა და ხმამაღლა თქვა:

— მოლაყბეები ვართ და მეტი არაფერი...

მას არავინ უპასუხა.

მატჩის მეორე ნახევარში მდგომარეობის ბატონ-პატრონნი მინდორზე ტორპედოელები იყვნენ. მათ გაიმარჯვეს კიდეც — 2:1.

ეს ორი ციფრი შავი ტუშით წააწერეს თეთრ ბურთს, რომელიც გუნდმა საზეიმოდ გადასცა ივანე ლიხაჩოვს. ცალკე სტრიქონად ეწერა: „24 ივნისი, 1946 წელი“. ცოტა უფრო ქვევით იყო გუნდის მწვრთნელის ვ. მასლოვის და 11 ფეხბურთელის ავტოგრაფები: ა. აკიმოვი, ნ. ილინი, ვ. მოშკარკინი, ნ. ევსეევი, ა. იაკოვლევი, ნ. მოროზოვი, ვ. პანფილოვი, ვ. ჟარკოვი, ა. პონომარიოვი, პ. პეტროვი, ვ. ჟარკოვი.

## დიდების დასაწყისი

მოსკოვის გუნდების — „მეტალურგის“, „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ ფეხბურთელები სასწავლო - საწვრთნელ შეკრებაზე მიემგზავრებოდნენ ოდესაში. ისინი ერთ მატარებელში ისხდნენ, თუმცა თვითეული გუნდი ცალკე ვაგონში იმყოფებოდა.

ავტოქარხნის ფეხბურთელებთან შევიდა „მეტალურგის“ მცველი სერგეი აფონინი.

— ბევრი გყავთ ახალბედა?

— კი, არიან ახლები, — უპასუხა აფონინმა.

— დირან რამედ?

— მინდორზე ყველა არ მინახავს, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა უკვე გაითქვა სახელი: მოსკოვიდან გამოსვლისას რომ დაწვა ზედა თაროზე, უკვე მეორე დღეა თავი არ აუწევია ბალიშიდან...

ეს „ძილის გუდა“ გახლდათ მაშინ ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი გრიგორი ფედოტოვი.

ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებზე უფრო ადრე ფედოტოვის ტალანტი ფრანგებმა შეამოწმეს. ფედოტოვი მოსკოვის „ტორპედოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა ნიცაში, რივიერის ნაკრების წინააღმდეგ. ერთ-ერთ მომენტში მან ფეხზე მიიღო ბურთი და ძირს დაუშვებლად ტყვიასავით გაგზავნა იგი ბადეში.

მატჩის დამთავრების შემდეგ აღფრთოვანებული მაყურებლები გადაცვივდნენ მინდორზე და ცდილობდნენ ხელით გაეყვანათ ფედოტოვი გასახდელში. ფეხბურთელი გაუსხლტა მათ, მაგრამ მაყურებლები არ ცხრებოდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი გუნდის გასახდელ ოთახში შეცვივდნენ.

— ჩვენი თხოვნაა, ნება მოგვეცით პატივი ვცეთ თქვენს ვირტუოზს და ხელით შემოვატაროთ მინდორზე, — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, შემდეგ ცოტა ხნით დაფიქრდა და დაუმატა:

— გვერწმუნეთ, ამას ჩვენ მეგობრობის გრძნობით ვაკეთებთ.

ფედოტოვი იძულებული იყო დათანხმებულიყო და ფრანგი გულშემატკივრებით გარშემოხვეული გამოსულიყო მწვანე მინდორზე. აქ იგი ხელში აიტაცეს და ახე დააბრუნეს უკან გასახდელში.

## დიპლომატიური კაპიტანი

ეს იყო ძალიან ძნელი მატჩი. არბიტრი ვიქტორ არხიპოვი იძულებული იყო ხშირად შეეჩერებინა თამაში. დაღლაც ეტყობოდა. მაგრამ როცა მატჩის დასასრულს სულ სამიოდე წუთი აკლდა, არხიპოვს ახალი განსაცდელი დაატყდა თავს. თბილისელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოცელეს ერთ-ერთი მოწინააღმდეგე თავდამსხმელი და საჯირო შეიქნა პენალტის დანიშვნა.

და აი, ბურთი 11-მეტრიან წერტილზე დევს. მოთამაშე გამოქანდა და ძლიერად დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა იმავე მოთამაშეს და მან დაუყოვნებლივ გაგზავნა იგი ბადეში.

არბიტრმა მექანიკურად გაიშვირა ხელი ცენტრისკენ. დინამოელებმა კამათი ატეხეს: ეს როგორ, გოლი ხომ წესების დარღვევით იქნა გატანილი?

არბიტრს მიეჭრა გუნდის კაპიტანი. გაჭირვებით იკავებდა თავს:

— რაშია საქმე? რატომ გვჩაგრავთ?

მსაჯმა შეაწყვეტინა კაპიტანს:

— მორჩით მიტინგს. დაიწყეთ ცენტრიდან!

კაპიტანი მიუბრუნდა თავის მოთამაშეებს და გაიმეორა მსაჯის სიტყვები:

— დაიწყეთ ცენტრიდან!

თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისელები თავს დაესხნენ თავიანთ კაპიტანს, მაგრამ იგი მოთმინებით იცდიდა. და მხოლოდ მაშინ, როცა ვილაცამ გულმოსულად დაიძახა — საჭიროა მისი გადარჩევაო, კაპიტანი წამოდგა სავარძლიდან.

— მითხარით, ბევრჯერ შეცდა მსაჯი?

მას წამსვე უპასუხეს:

— არა...

— მაშ დაფიქრდით, დიპლომატიური იქნებოდა ერთადერთი შეცდომისთვის გამეფუჭებინა ურთიერთობა არბიტრთან?

ფეხბურთელები დაფიქრდნენ და გადაიფიქრეს კაპიტნის გადარჩევა. მატჩი ხომ ამხანაგური იყო.

# ჯანმრთელობის სისტემა

## ძალა სილამაზე სიჯანსაღე

კრივისა და ჭიდაობის ბევრი ოსტატის სპორტული ბიოგრაფია მოსკოვის ძალოსნობის სასახლეში იწყება. 1967 წელს აქ შეიქმნა ათლეტური ტანვარჯიშის სკოლა. ამ სკოლაზე და მის უფროს მწვრთნელზე, ინჟინერ ვ. ელისეევზე გვიამბობს აპს-ის კორესპონდენტი ვ. ანისიმოვი.

1968 წელს ვ. ელისეევმა მოიგო ლენინგრადის ღია კონკურსი ათლეტურ ტანვარჯიშში. სპორტსმენის იშვიათი ფიზიკური ძალითა და პლასტიკურობით მოხიბლულმა არც ერთმა მაყურებელმა არ იცოდა, რომ მედიკების აზრით, რამდენიმე წლის წინ ელისეევს სპორტზე ოცნებაც არ შეეძლო.

საავტომობილო კატასტროფა. ვალენტინი საავადმყოფოში მოვიდა გონს. ექიმები ერთ აზრს ადგნენ: არავითარი ფიზიკური დატვირთვა! მაგრამ ვალენტინი ამ აზრს ვერ შეურიგდებოდა. როგორც კი საავადმყოფოდან გამოვიდა, ყოველდღიური წვრთნა დაიწყო: ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა.

ექვსი თვის შემდეგ იგრძნო, რომ მომაგრდა. გადაწყვიტა უკვე დაეწყო ათლეტური ტანვარჯიში, რომელიც ადრიდანვე იზიდავდა. ინჟინერმა ელისეევმა თავად დააპროექტა ძალისმიერი ბლოკები. ძალიან დაეხმარა ძალოსნობის სპეციალისტი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი რ. მოროზი. ვალენტინი მასთან ემზადებოდა ათლეტურ ტანვარჯიშში და 1968 წელს ლენინგრადის ჩემპიონობა მოიპოვა.

ერთი წლით ადრე კი ელისეევს, იმ დროისთვის უკვე ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტს, მოსკოვის ძალოსნობის სასახლესთან არსებულ ათლეტური ტანვარჯიშის სკოლაში მწვრთნელად მუშაობა შესთავაზეს.

სკოლაში 420 კაცი მოვიდა. ეს სიურპრიზი არ იყო. ათლეტიზმი უკვე მასობრივი სპორტი გახდა სსრ კავშირში. მოსკოვში, ლენინგრადში, ციმბირში, ბალტიისპირეთში ათლეტური ტანვარჯიშის ჯგუფები ათასობით წევრს ითვლიან. მოულოდნელი ის იყო, რომ „წმინდა წყლის“ მოკრივეები, მოჭიდავეები და ზოგჯერ ძალოსნებიც კი პოულობდნენ დროს, რათა ელისეევის დარბაზში შესულიყვნენ და მისი კომპლექსების მიხედვით ევარჯიშათ.

— ჩვენს სკოლაში, — გვიამბობს ვ. ელისეევი, — პრაქტიკულად ყველა მსურველს შეუძლია მეცადინეობა. ბუნებრივ ფიზიკურ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს: ჩვენ რეკორდსმენებს როდი ვამზადებთ, მთავარ მიზნად ჯანმრთელობის განმტკიცება გვაქვს დასახული. ჩვენს სკოლაში დადიან მოსწავლეები და სტუდენტები, ინჟინრები და მჭედლები, ზეინკლები, პედაგოგები, მსახიობები. ასაკი? 12-53 წელი.

ერთხელ ელისეევთან მივიდა სპორტის ოსტატი ნიჩბოსნობაში. სპორტსმენი თურმე სულ ნავის ერთ მხარეზე უსვამდა ნიჩაბს და ამის შედეგად კუნთების ერთი ჯგუფი უფრო ძლიერ განვითარებული აღმოჩნდა. ელისეევმა მისთვის საწვრთნელი ვარჯიშების სპეციალური კომპლექსი შექმნა. სამი თვის შემდეგ სპორტსმენი „ცალმხრივობისგან“ განიკურნა.

ათლეტიზმის სკოლა დაეხმარა რამდენიმე სპორტსმენს, რომლებიც გულის უკმარობას უჩიოდნენ. ელისეევი ეთათბირებოდა ექიმებს, წვრთნის დროს ნოყიერ წვენებსაც იყენებდა და ბევრ ახალგაზრდას დაეხმარა ჯანმრთელობის განმტკიცებაში. ახლა ისინი ათლეტური ტანვარჯიშის კონკურსებში მონაწილეობენ.

— ძალოსნობის სასახლეში ყველა პირობაა შექმნილი ათლეტიზმში მეცადინეობისთვის, — გვიამბობს ვ. ელისეევი. — ჩვენს განკარგულებაშია საგანგებო, კარგად მოწყობილი დარბაზი. ჯგუფებში საშუალოდ 20-20 კაცია. ისინი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ კვირაში სამ-ოთხჯერ 2-2 საათს.

ვ. ელისეევის სისტემით მომეცადინე სპორტსმენებს 7-8 თვის შემდეგ 130-140 კილოგრამის დაძლევა შეუძლიათ. თავად ელისეევი 35 წლისაა, ტანად 175 სანტიმეტრია და 87 კილოგრამს იწონის. მიუხედავად ამისა, მას შეუძლია 170 კგ აჰიმოს და 200-კილოგრამიანი შტანგით ჩაჯდეს.

ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნამ, ინჟინრის განათლებამ ელისეევს საშუალება მისცა ოთხ წელიწადში შეექმნა და შეემოწმებინა ათლეტური ტანვარჯიშის საკუთარი სისტემა, რომელმაც უკვე შემატა ძალა და ჯანმრთელობა სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ასობით ადამიანს.

# ორი ტრაგედია

## კიდევ ერთი ლანდსკნეჰტი

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, მოკრივე რ. კარმოდიმ, რომელიც ამას წინათ უსახელოდ დაიღუპა სამხრეთ ვიეტნამის ჯუნგლებში, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წერილი გაუგზავნა მშობლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ დროს ნიჭიერი სპორტსმენის ეს ბოლო წერილი სულ ახლახან იქცა საზოგადოებრიობის კუთვნილებად.

აი, რას წერს კარმოდი:

„გამუდმებით მაწამებს კითხვა, რატომ ვართ აქ ჩვენ, ამერიკელი ჭაბუკები? რა უნდა ჩვენს მთავრობას იმ ქვეყანაში, სადაც ყველას ვძულვართ? ტოკიოს ოლიმპიადაზე მე ვნახე როგორ შეეძლოთ მეგობრობა და ერთმანეთის გაგება დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სხვადასხვა ფერის ადამიანებს, მიუხედავად სხვადასხვა მსოფლმხედველობისა. მახსოვს, რა სიამოვნება მომანიჭა ძლიერ ნეპალელ მოკრივესთან ნამსინგთან ბრძოლამ. ეს იყო მძიმე ბრძოლა, გამარჯვება მიხაროდა, მაგრამ კიდევ უფრო დიდ სიხარულს მგვრიდა ის ამბავი, რომ ნეპალელმა მოლოცვის დროს მაგრად ჩამომართვა ხელი.

მე ვოცნებობ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევაზე, ვოცნებობ, რომ კვლავ სპორტსმენი გავხდე და მკვლელი არ ვიყო, ვოცნებობ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში წასვლას იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღო პატიოსნურ სპორტულ ბრძოლაში“.

კარმოდის ოცნება აუხდენელი დარჩა. მაგრამ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა მეორე ამერიკელი სპორტსმენი, რომლის ბედიც შეიძლება ძალიან დაემგვანოს რობერტის ბედს.

ჯეფ ვანდერსტოკი. მაღალი, ტანადი, წაბლისფერთმიანი, კუნთებმაგარი ახალგაზრდა კაცი. ოლიმპიურ თამაშებში 400 მეტრზე თარჯრბენის ფინალურ შეჯიბრებაში იგი მესამე ბილიკზე გარბოდა. ჯეფი ფავორიტად ითვლებოდა. მექსიკის ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამ დისტანციაზე. თუმცა ამჯერად ვანდერსტოკს აშკარად ბედმა უმტყუნა. იგი სამშობლოში უმედლოდ და ურეკორდოდ დაბრუნდა, მაგრამ ვანდერსტოკმა აშკარად გამოუცხადა ჟურნალისტებს, ეს ამბავი როდი მაწუხებსო. საქმე ისაა, რომ მან სწავლა დაამთავრა და არმიაში გაიწვიეს. ეს კი ნიშნავს, რომ ვანდერსტოკი ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე სამხრეთ ვიეტნამში უნდა გაგზავნონ საომრად. „რა დამიშავეს ვიეტნამელებმა, რატომ უნდა დავხოცო ისინი?“ — კითხულობს ვანდერსტოკი.

თავის დროზე ასეთივე კითხვები აწუხებდა რობერტ კარმოდისაც, მაგრამ მან ვერ გაბედა, ვერ უთხრა მტკიცე „არა!“ პენტაგონის ბინძურ ომს. ახლა კიდევ ერთ სპორტსმენს უპირებენ ლანდსკნეჰტად ქცევას.

## საშველი არ იყო

ქალი, რომელსაც დასავლეთ ბერლინის განაპირას, ძველ, ჭუჭყიან სახლში ოთახები ჰქონდა გაქირავებული, ცოტა გააკვირვა იმ ამბავმა, რომ ბატონი ბარტოშკევიჩი მთელი დღე არ გამოსულა თავისი სოროდან. დიასახლისმა კარზე დააკაკუნა, მაგრამ პასუხი არავინ მისცა. კარი შიგნიდან იყო დაკეტილი და იძულებული გახდნენ გაეტეხათ. ოთახში რომ შევიდნენ, შემზარავი სურათი იხილეს. საწოლზე იწვა უკვე გალურჯებული მაქს ბარტოშკევიჩი, მაგიდაზე კი დარჩენილიყო ძლიერი ძილის მომგვრელი რამდენიმე აბი და ბარათი.

„გადავწყვიტე მოვმკვდარიყავი საკუთარი სურვილით, რადგან სილატაკესა და სიღარიბეს თავი ვერ დავაღწიე. საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობდი, სპორტსმენი მხოლოდ მაშინ სჭირდება, თუ მას შეუძლია მედლები მოიპოვოს და მენეჯერებს ფულის მოხვეჭაში შეუწყოს ხელი. მაგრამ რომ დაბერდები, უპატრონო ძაღლივით გაგაგდებენ ქუჩაში.

მალე ჩემი დაბადების დღეა. 55 წელი შემისრულდება, უფრო სწორად, შემისრულდებოდა... ისე მივდივარ ამ ცხოვრებიდან, რომ გამოსავალი ვერა და ვერ ვპოვე“.

მაქს ბარტოშკევიჩი... ამ სახელს კარგად იცნობდნენ ველოსპორტის გერმანელი მოყვარულები ჯერ კიდევ ომამდე. 20 წლის სპორტსმენმა მოიგო მაგდებურგის ტრადიციული ველორბოლა, სადაც ბევრი ძლიერი მეტოქე ჩამოიტოვა. ეს იყო 1934 წელს. ამას მოჰყვა წარმატებები მაინის ფრანკფურტის ირგვლივ რბოლაში, ბერლინ — კოტბუს — ბერლინისა და ბევრ სხვა დიდ შეჯიბრებაში.

როცა ხელისუფლების სათავეში ნაცისტები ჩადგნენ, ბარტოშკევიჩი იძულებული გახდა ვერმახტის ჯარისკაცის მუნდირი ჩაეცვა. ომში მას კიდევ სწყალობდა ღმერთი — მძიმე ჭრილობით გადარჩა. მაგრამ ბარტოშკევიჩს სპორტი არ მიუტოვებია. მიუხედავად ტრავმისა, გაიმარჯვა კიდევ ბევრ ტურნირში, ოქროს მედლები მოიგო ველორბოლაში „ბერლინის ირგვლივ“, ბერლინ — ლაიპციგის შეჯიბრებაში და სხვ.

ხანში რომ შევიდა და ახალგაზრდებთან ბრძოლა აღარ შეეძლო, ბარტოშკევიჩი პროფესიულ ველორბოლებში შოულობდა ორიოდე გროშს. იგი არაფერს არ ერიდებოდა — არც სპორტსმენთა გასახდელების დალაგებას, არც ველოსიპედების გაპოხვას, იყო ტრეკის ცოცხალი რეკლამა. შემდეგ ეს შემოსავალიც დაკარგა. უმნიშვნელო პენსიიდან შემორჩენილი რამდენიმე უკანასკნელი გროშით ბარტოშკევიჩმა საძინებელი აბების სასიკვდილო დოზა იყიდა.



პროფესიონალი ველოსიპედისტების არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი, ანუ „ტურ დე ფრანსი“ წლეულს, როგორც ცნობილია, მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: I ადგილი ამ მარათონულ რბოლაში მოიგო ჰოლანდიელმა ი. იანსენმა, რომელიც, მართალია, ახალბედა ველოსიპედისტი არ გახლავთ (სხვა რომ არაფერი, იგი მსოფლიოს ჩემპიონია საგზატკეცილო რბოლაში), მაგრამ ფავორიტთა შორისაც არ ირიცხებოდა. „ტურ დე ფრანსს“ უყვარს ასეთი სიურპრიზები, და გამარჯვებული მან მთელი პატივითა და დიდებით აკურთხა. ჩემპიონს პარიზში ელოდა დიდი ფულადი ჯილდო და... ცოლ-შვილი.

* * *

სურათზე: ცოლ-შვილს მონატრებული იანსენი მხიარულად დასეირნობს პარიზის ქუჩებში.

# ჩვენი საგაზეთო სააგენტოში

## ✦ „ზამთარი“ უკრაინაში

„თბილი“ უკრაინის ბევრ ქალაქში „მიკროზამთარი“ შექმნეს: ყინულის მოედნები გაჩნდა დნეპროძერჟინსკსა და ხარკოვში, მალე გაჩნდება ოდესაში, დნეპროპეტროვსკში, დონეცკში, ლვოვში, ლუგანსკში, ზაპოროჟიეში, სევეროდონეცკში. ეს „საზამთრო ლაშქრობა“ 8 წლის წინ დაიწყო, როცა კიევის ერთ-ერთ მოედანზე აღიმართა მინისა და ბეტონის გოლიათი — სპორტის სასახლე. ჰოკეის და ფიგურული ციგურაობის მოყვარულებმა ბუნების წყალობას არ უცადეს და ამ სასახლეში თავად დაადგინეს „ზამთრის გზას“. მალე კიევის ჰოკეისტებს კიდევ ერთი ახალსახლობა ექნებათ — ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგება ყინულის ხელოვნური მოედანი ტრიბუნებით.

უკვე მზადაა პროექტი კიევის ყინულის სტადიონისა, რომელსაც 400-მეტრიანი ხელოვნური ბილიკი და 4000-ადგილიანი ტრიბუნები ექნება.

უკრაინის მოთხილამურეებს მისამართი არ შეუცვლიათ, ისევ კარპატებში ბინადრობენ. უახლოეს ხანებში აქაურ ტურისტულ ბაზებს ახალი დიდი სპორტული კომპლექსებიც მიემატება. მაღლა მთებში იწყება მშენებლობა სპორტის, დასვენებისა და ტურიზმის ბაზისა, რომელსაც ექნება ტრამპლინები, სამთოსათხილამურო ტრასები, ბუნებრივი საციგურაო ტბაზე და, რა თქმა უნდა, სასტუმრო. ერთდროულად 200 მოთხილამურეს მიიღებს მეორე ბაზა „ზაროსლიაკი“, რომლის მშენებლობაც 1969 წლისთვისაა განზრახული ივანო-ფრანკოვსკის ოლქში.

მდიდარია წლევანდელი ზამთრის სპორტული სეზონის კალენდარი. როგორც წინა წლებში, რესპუბლიკაში ჩატარდება ჩემპიონატები ჰოკეიში, ფიგურულ ციგურაობაში, ციგურებით სწრაფრბენაში, ბიატლონში, სათხილამურო რბოლაში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში, სამთოსათხილამურო სპორტში.

პირველად გათამაშდება უკრაინის თასი სპორტის სათხილამურო სახეობებში. მხტომელებს სამი ტრამპლინის ტურნე ელით — ვოროხტაში (ივანო-ფრანკოვსკის ოლქი), კრემენცში (ტერნოპოლის ოლქი) და კიევში — ახალ 50-მეტრიან ტრამპლინზე.

ყველაზე გრძელი იქნება სამთომოთხილამურეთა სეზონი. იგი დეკემბერში გაიხსნება რესპუბლიკის თასზე შეჯიბრებით და 1969 წლის 12 მაისს დამთავრდება რახოვში „კარპატების პრიზზე“ გამართული ტურნირით, სადაც გამარჯვებულს ტრადიციისამებრ იებს მიართმევენ ხოლმე.

ა. ივანოვი.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

კიევი.

## ✦ სოფლის ფიზკულტურელებისთვის

ბლაგოვეშჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „როდინაში“, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ვორონცოვი ხელმძღვანელობს, შენდება სპორტული კომპლექსი და ზამთრის საცურაო აუზი. ეს ღონისძიება კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადეს. ვარაუდობენ, რომ ბაზები გაისად იქნება მზად.

## ფრენბურთის ბადესთან

ახლახან აზერბაიჯანის კახის რაიონში გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის 16 კოლექტივი, მათ შორის, კახის ნიზამის სახელობის ქართული კოლმეურნეობისა და სოფელ ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის გუნდები. მათ შესაბამისად IV-V ადგილები დაიკავეს.

ი. ჭაჭაშვილი.

აზერბაიჯანის სსრ,
კახის რაიონი.

# უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

● **სტოკჰოლმი.** 1968 წლის სეზონის № 1 ფეხბურთელად შვეციაში მიიჩნიეს 22 წლის თავდამსხმელი ბ. ნორდკვისტი, რომელიც „ნორჩეპინგსა“ და ეროვნულ ნაკრებში გამოდის.

● **მონტევიდეო.** ეროვნული ჩემპიონატის ჩამტარებელნი რთული პრობლემის წინაშე დადგნენ. საქმე ისაა, რომ მსაჯებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმ დრომდე, სანამ მათ გასამარჯელოს არ მოუმატებენ.

● **გლაზგო.** იშვიათ წარმატებას მიაღწია „გლაზგო რეინჯერსის“ ახალმა თავდამსხმელმა სტაინმა, რომელიც გუნდმა 100 ათას გირვანქა სტერლინგად შეიძინა „ჰიბერნიანისგან“. სტაინმა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში 4 წუთის განმავლობაში გაიტანა 3 გოლი!

● **ლიონი.** „სლოვანის“ (ბრატისლავა) კაპიტანმა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ი. პოპლუხარმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ლიონის „ოლიმპიკთან“ (საფრანგეთი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ნაკლიც არ დავივიწყებიათ

გაიმართა მახარაძის „განთიადის“ ზონალური საბჭოს კონფერენცია. საბჭოს თავმჯდომარემ შ. კილურაძემ დამსწრეთ უთხრა, რომ „განთიადის“ კოლექტივებმა შარშან კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სპორტულ და მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში. 36 ფიზკულტურულ კოლექტივში ახლა 450-ზე მეტი წევრია. საბჭომ 1 ნოემბრისთვის შეასრულა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების წლიური გეგმები და თვითვალდებულებანი. „განთიადის“ რესპუბლიკურ ღონისძიებებში წარმატებით გამოვიდნენ მძლეოსნები, ხელბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები. პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, რომელიც სპორტის 8 სახეობაში ჩატარდა, აბრეშუმის ფაბრიკის და მალაროთა სამმართველოს გუნდებმა საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

კარგად მუშაობენ № 1, № 2, ნასაკირალის, ნატანების, შრომის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკები, მალაროთა სამმართველოს, აბრეშუმის ფაბრიკის, ლუდის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას. სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო, ზონალური და რაიონული შეჯიბრებები, ფართოვდება სპორტული ბაზების ქსელი.

აღინიშნა ნაკლოვანებებიც. ითქვა, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში კვლავ არ არის დანერგილი საწარმოო ტანვარჯიში, სპორტულ ღონისძიებებში ნაკლებად მონაწილეობენ ქალები, ყურადღება არ ექცევა სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებას, ფიზკულტურული საბჭოები არ ზრუნავენ თევზაობის, ნადირობის, საერთო ფიზიკური მომზადებისა და ტურისტული სექციების მუშაობის გაუმჯობესებისთვის, სუსტად არის დაყენებული მუშაობა დიასახლისებს შორის, დიდ ეზოებში და საერთო საცხოვრებლებთან არ არის მოწყობილი სპორტული მოედნები.

კამათში მონაწილეობდნენ: ა. მახარაძე (აბრეშუმის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ვ. მდინარაძე (მალაროთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ბ. დოლიძე (პირველთანრიგოსანი სპორტსმენი), ა. გოგუაძე (№ 2 ჩაის ფაბრიკის მეთოდისტი), რ. იმნაიშვილი (ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მეთოდისტი), ჯ. მდინარაძე (აბრეშუმის ფაბრიკის მეთოდისტი), ო. კიშინსკი (მახარაძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე), ნ. ზაქარიაძე (საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის განყოფილების გამგე) და ო. ჩიქოვანი („განთიადის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი).

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია საბჭოს ხელმძღვანელობა. მახარაძის „განთიადის“ ზონალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს შ. კილურაძე.

ბ. დოლიძე,

აბრეშუმის ფაბრიკის იურისკონსულტი.

მახარაძე.

# თბილისის სპორტული ბაზრობა

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. **7-12 დეკემბერი. III საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.** მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 18 ს., 7 დეკემბერს — 13 ს. 10 დეკემბერი დასვენების დღეა.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. **6-7 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა.** „ა“ კლასი. ვაჟთა გუნდები. **„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).** დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11128